

„რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებებისათვის“

კოალიციის რეკომენდაციები



ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ  
კონვენციის შესრულების თაობაზე საქართველოს VI პერიოდული  
ანგარიშის პროექტზე

## შესავალი

აღნიშნული კომენტარები მომზადებულია კოალიცია „რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების ფარგლებში“. კომენტარები შემუშავებულ იქნა შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ:

*ასოციაცია ჰერა ოცდაერთი*

*გენდერული თანასწორობის ქსელი*

*პლატფორმა ახალი შესაძლებლობებისთვის*

*თანაზიარი*

*სამცხე-ჯავახეთის დემოკრატიკალთა საზოგადოება*

*ბოლნისის ენის სახლი.*

კოალიცია სრულად აფასებს პასუხისმგებელი უწყებების მიერ ანგარიშის მომზადებისა და კოორდინირების პროცესში გაწეულ ძალისხმევასა და ჩატარებულ სამუშაოებს, ამასთან, საჭიროდ მიიჩნევს ანგარიშის ცალკეულ ნაწილებთან მიმართებით განმარტებებს, რათა სრულად წარმოჩნდეს საქართველოში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის შესრულების კუთხით სახელმწიფოს მხრიდან მიღწეული შედეგები. ამ მიზნით წარმოდგენილია როგორც ზოგადი კომენტარები, ასევე ანგარიშიდან შესაბამის პარაგრაფებზე კომენტარების სახით.

პირველადი შეფასებისას სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების **კომიტეტის დასკვნითი შეფასების (C/GEO/CO/4-5)** შესრულებაზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არ არის სრულად დაცული კომიტეტის მოთხოვნები სახელმწიფო ანგარიშის შემუშავების კუთხით. კერძოდ, **დოკუმენტი არ არის შედეგზე ორიენტირებული უფრო ორიენტირებულია აქტივობებზე, აკლია ხარისხობრივი ინდიკატორები და არ არის მითითებული წყაროები და სტატისტიკური მონაცემები რიგ შემთხვევაში** რაც, საშუალებას გვაძლევს ვთქვათ: სახელმწიფოს არ აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული საინფორმაციო/საკომუნიკაციო სტრატეგია ამ საკითხის მიმართულებით. ხოლო, ის რასაც ახორციელებს ფრაგმენტულია და არა სტაბილური. ანგარიშის ტექსტის წაკითხვის დროს იქმნება შთაბეჭდილება, რომ მასალა არ არის თანმიმდევრულად დალაგებული და დამუშავებული ერთი სტრუქტურის მიერ.

ინფორმაცია რომელიც ასახულია არ არის სრულყოფილი და მასში გამოტოვებულია ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგალითად „ქალთა ოთახები“-ს შესახებ მოწოდებული ინფორმაცია ნაწილობრივია და ზედაპირული თან უზუსტობებია როგორც ინფორმაციის, ასევე მხარდაჭერის ნაწილში(43,44,45).

ანგარიშში მითითებული აქტივობები, მაგ. ტრენინგ კურსები ან საინფორმაციო შეხვედრები არ შეიცავს ინფორმაციას, რამდენად იყო დაცული გენდერული პროპორცია მონაწილეებში. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ აქცენტი გაკეთებულია ეროვნულ უმცირესობებზე, მაგრამ არ არის

ნათქვამი სხვა მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის შესახებ, მათ შორის შშმ ქალების. (მაგ. პარაგრაფი 44)

კოალიციის რეკომენდაციაა სტრუქტურულად დალაგდეს რეკომენდაციების პასუხში პრიორიტეტული საკითხების თანახმად რათა უზრუნველყოფილ იქნას ლოგიკური ბმა და თანმიმდევრობა პარაგრაფებს შორის:

საყურადღებოა, რომ მნიშვნელოვანი საბაზისო კვლევის ჩატარების ფაქტი მოცემულია აქტივობების ჩამონათვალში, კერძოდ 63-ე პარაგრაფში. შესაბამისად ამ კვლევას არ მიენიჭა ის ამოსავალი წერტილის ფუნქცია, რაც წესით უნდა ჰქონოდა. იგივე ეხება ეროვნული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავების ფაქტს: ის მოცემულია აქტივობების ჩამონათვალში, პარ.65.

ანგარიში პასუხობს კომიტეტის რეკომენდაციებზე ზოგადად, მაგ. განიხილება რეკომენდაცია 9, „ცნობიერების ამაღლებაზე“, და არა რეკომენდაცია 9 (ა) პუნქტი, შესაბამისი კონკრეტული ფორმულირებით. ანგარიში უფრო ძლიერი იქნება თუ პასუხები რეკომენდაციებზე იქნება გაცემული პუნქტების მიხედვით. უზრუნველყოფილ იქნას თანმიმდევრობა.

აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი კვლევები გაფანტულია აქტივობებს შორის (იხ. მაგ. პარ. 63, 66 და 69), და არ ხდება მათი გაერთიანება სადმე სპეციალურ თავში, ასევე არ ჩანს დასკვნების შეჯამების/შედარების მცდელობა. გაეროს ქალთა ორგანიზაციის კვლევას (პარ.66) არა აქვს სტრატეგიული ადგილი, მიუხედავად იმისა რომ ის აფიქსირებს ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებას 2009 წლიდან. (სტრატეგიული და მნიშვნელოვანი მექანიზმების (სამოქმედო გეგმა, ბიუჯეტირება) დოკუმენტების და ნორმატიული აქტების ნუსხა,).

ბევრ შემთხვევაში, განსაკუთრებით როცა საუბარი ეხება სახელმწიფოს მიერ ჩატარებულ აქტივობებს, კამპანიებს და ღონისძიებებს ანგარიში არ შეიცავს წყაროებს. საყურადღებოა, რომ ეს ეხება არა მარტო აქტივობებს, არამედ კვლევებს, მაგ. პარ.66 საუბრობს ჩატარებული კვლევის მიგნებებზე წყაროს მითითების გარეშე.

ძალიან სუსტია პასუხი იმ ზომებზე რაც უნდა ყოფილიყო მიღებული არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი ქალების მიმართ (შშმ ქალების და ეროვნული უმცირესობების ჩათვლით), ფაქტობრივად სამომავლო სამუშაოს გარდა (კონცეფციის შემუშავება პარლამენტში, პარ.126) არაფერი არ არის ნათქვამი.

ანგარიშში აღწერილი აქტივობები ნაწილობრივ ან საერთოდ არ ფარავს 2018 წელს, სავარაუდოდ ანგარიში იყო მომზადებული წლის დასაწყისში. რამდენიმე შემთხვევაში 2018 წელზე არის ნათქვამი როგორც მომავალზე (მაგ. პარ. 191, პარ.215). სხვა შემთხვევაში არ არის მითითებული 2018 წლის მონაცემები. შესაბამისად ანგარიში საჭიროებს გადახედვას და 2018 წლის მონაცემების შეტანას.

ანგარიში აღიარებს, რომ სსმ მოსწავლე გოგონების რაოდენობა თითქმის ორჯერ მცირეა ვიდრე ბიჭების (პარ.191). თუმცა განმარტებები ან კვლევების დაგეგმვა ამ პრობლემის საპასუხოდ არ არის შეთავაზებული.

პარ.238-ში მოყვანილი ინფორმაციის მიუხედავად, კლინიკების უმრავლესობა შშმ პირებისთვის ადაპტირებული არ არის. იხილეთ კვლევა ჩატარებული ჩვენი მონაწილეობით. (თანდართულია). პრობლემა იმაშია, რომ კლინიკების მონიტორინგი სათანადოდ არ ხორციელდება, შშმ ქალების მომსახურების საკითხები არ შედის ექიმების და ექთნების საგანმანათლებლო პროგრამაში. კონფიდენციალურობის საკითხი და სხვა უფლებრივი საკითხები (მაგ. მხარდამჭერის უფლებებები) მედპერსონალისთვის აქტუალური არ არის.

განათლების საკითხიდან გამოტოვებულია ინკლუზიური პროფესიული განათლება, სადაც ბენეფიციარების უმრავლესობა ქალები არიან, ასევე გამოტოვებულია შშმ პირთა მხარდამჭერი დასაქმების პროგრამების ამოქმედება (არაეფექტურია, მაგრამ მაინც წინ გადადგმული ნაბიჯია).

### კომიტეტის დასკვნითი შეფასების (C/GEO/CO/4-5) შესრულება

#### კომენტარები პარაგრაფების მიხედვით

**შენიშვნა: პარაგრაფების ნუმერაცია ემთხვევა სახელმწიფო ანგარიშის პროექტში მითითებულ ნუმერაციას.**

#### პასუხი მე-9 რეკომენდაციაზე - ცნობიერების ამაღლება

8: აუცილებლად უნდა აღინიშნოს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებთაშორისი კომისიის და პარლამენტში მოქმედი გენდერული თანასწორობის საბჭოს მუშაობა პარაგრაფის დასაწყისში და მათი მუშაობის შედეგების ჩამონათვალი;

9: მითითებული აქტივობები (პრეზენტაციები) არ შეიცავს მონაწილეების რაოდენობას, და ინფორმაციას იმ ადგილების შესახებ სადაც ჩატარდა პრეზენტაციები. ნებისმიერ შემთხვევაში მხოლოდ პრეზენტაციები მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად საკმარისი არ არის.

10 პარაგრაფი შეიცავს ინფორმაციას მცირე გრანტის შესახებ, 15 000 ლარის ოდენობით, გაცემული არასამთავრობო ორგანიზაციისთვის, საინფორმაციო პროექტის განსახორციელებლად რეგიონებში. არის ინფორმაცია პროექტის პროდუქტების შესახებ, კლიპი და 5000 ბროშურა, თუმცა არ არის ინფორმაცია პროექტის შედეგების შესახებ. ამასთან ასეთ მცირე პროექტზე იმედის დამყარება ქვეყნის ფარგლებში საკმაოდ არასისტემურია და ნაკლებად შეეფერება ოფიციალურ უწყებას. შეიძლება მითითებული ყოფილიყო რამდენ ორგანიზაციაზე გაიცა და რომელ რეგიონებში განხორციელდა პროექტები.

11 პარაგრაფში ნახსენებია, რომ ტრენინგები ჩატარდეს მოწყვლადი ჯგუფებისთვის (ნახსენები სამოქმედო გეგმაში). გაურკვეველია, რომელ სამოქმედო გეგმას გულისხმობენ და არ არის მითითებული წყარო ამ გეგმაზე.

12. მითითებულია, რომ შეიქმნა ონლაინ პლატფორმა, და ანონიმური წერილის ფორმა, თუმცა არ არის მითითებული ხალხის მიმართვიანობა, ანუ საბოლოო ეფექტურობის შეფასება.

13. მითითებული უნდა იყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი ბმული. დაემატოს რაოდენობრივი ინდიკატორების შესაბამისი მონაცემები

20. კამპანიამ გადაინაცვლა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში--დაკონკრეტებული არ არის რომელ რეგიონებში ჩატარდა და რა იყო რეგიონების შერჩევის კრიტერიუმი.

22.23.24--*აღნიშნული პროექტის* მაგივრად, უნდა იყოს პროექტის დასახელება „ევროკავშირი გენდერული თანასწორობის უწყებათშორისი კომისიის მხარდასაჭერად.“

28. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რამდენმა სამართალდამცავმა აიმაღლა კვალიფიკაცია

40.ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში --ალბათ ჩამოთვლილი უნდა იყოს რომელ რეგიონებზეა საუბარი (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი,კახეთი)

44.ჩამოთვლილია კურსები და კარგი იქნება მითითება სულ რამდენმა ქალმა მიიღო სარგებელი ამ სერვისით

45.ჩატარდა შეხვედრები--რამდენი?

59-ში მითითებულია გამომძიებლების გადამზადების შესახებ, თუმცა არ არის მითითებული პროცენტული მაჩვენებელი (გამომძიებლების რამდენი პროცენტი გადამზადდა). ასევე არ არის დაკონკრეტებული რეგიონები სადაც ჩატარდა გადამზადება. ბუნდოვნად წერია, რომ პრიორიტეტული იყო ის რეგიონები სადაც ძალადობის დონე მაღალია.

63 პოზიტიური ელემენტია, რომ სახელმწიფომ თავად ჩაატარა კვლევა 2017 წელს, „მტკიცებულებებზე დაფუძნებული გენდერული პოლიტიკის წარმოების ხელშეწყობის მიზნით.“ <http://www.parliament.ge/uploads/other/84/84645.pdf> (პირველი ნაწილი) მე-2 ნაწილი [http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/84648/GEO\\_Volume2\\_Gender\\_Equality\\_in\\_Georgia\\_VOL2\\_GEO](http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/84648/GEO_Volume2_Gender_Equality_in_Georgia_VOL2_GEO) ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კვლევა შეიცავს რეკომენდაციებს.

მათ შორის რეკომენდაციას გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკური მონაცემების შესახებ (გვ. 32, პუნქტი ე.). არსებული კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, მუხლი 5 გენდერის მიხედვით ჩაშლილი სტატისტიკის წარმოებას ითვალისწინებს მხოლოდ „გენდერულ საკითხებთან დაკავშირებულ ანგარიშებში“. აღნიშნული რეკომენდაცია ისევე როგორც მეორე რეკომენდაცია სტატისტიკის წარმოების შესახებ „ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის“ კანონის ფარგლებში შეუსრულებელი რჩება, შესაბამისად გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოება კვლავ სავალდებულო არ არის.

საყურადღებოა, რომ მნიშვნელოვანი ბაზისური კვლევის ჩატარების მიუხედავად, ამ კვლევას არა აქვს შესაბამისი ამოსავალი წერტილის ადგილი და როლი სახელმწიფოს ანგარიშში.

64. მითითებული ვებსაიტის ბმული [www.sheachere.ge](http://www.sheachere.ge) არ იხსნება (მიუხედავად იმისა რომ პროექტი უნდა გაგრძელებულიყო 2018 წელს და ვებსაიტი წესით უნდა იყოს მნიშვნელოვანი რესურსი სამომავლოდ).

65. აღსანიშნავია, რომ ამ პარაგრაფში საუბარი მიდის ერთიანი ეროვნული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ, მაგრამ ისევე როგორც კვლევის შემთხვევაში, ამ სტრატეგიას მნიშვნელოვანი ადგილი ანგარიშში არ უკავია.

66-ში მიდის ვრცელი საუბარი კვლევის მიგნებებზე შესაბამისი წყაროს გარეშე. აღსანიშნავია, რომ შეიძლება აღნიშნული კვლევის მიგნებების მოთავსება სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილას (დასაწყისში, შესავალში), რათა ხაზი გაესვას 2009 წლიდან მიღწეულ პროგრესს. პარ. 67 საუბრობს კვლევის მნიშვნელობაზე, როგორც ინდიკატორზე, და ამის თქმა ისევე ღირს სადმე შესავალში.

68-ში აღწერილი პროექტი დამთავრდება 2019 წლის მაისში, და საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის თანახმად, ზესტაფონში გაიმართა ერთი დისკუსია, 2018 წლის ივნისში. აღსანიშნავია, რომ პროექტის საჯაროდ ხელმისაწვდომი და ანგარიშში მითითებული ამოცანები ერთმანეთს ბოლომდე არ შეესაბამება. მაგალითად, ანგარიშიდან გამოტოვებულია საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კომპონენტი, მიუხედავად მისი რელევანტურობის.

69 შეიცავს ინფორმაციას კონფერენციაზე და კვლევაზე, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია, და ამ კვლევის ბმული არ დევს.

სხვადასხვა დონორების მხარდაჭერით განხორციელებულ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებში დაემატოს ასოციაცია ჰერა ოცდაერთის მიერ შექმნილი „რეპრო სტუდო“ და გადაცემათა ციკლი „ალტერნატიული აზრი“, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას ქალთა უფლებების, გენდერული თანასწორობის, რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე და მიემართება მეცხრე რეკომენდაციის ა ქვეპუნქტის შესრულებას.

### **პასუხი მე-11 რეკომენდაციაზე - გენდერული თანასწორობა**

ინფორმაცია არ არის განახლებული და ამ დროისთვის მოძველებულია, საჭიროებს განახლებას და სრულყოფას.

92. 2013 წლიდან არსებულ სახალხო დამცველის აპარატთან არსებულ გენდერული თანასწორობის დეპარტამენტს რამდენმა ადამიანმა მიმართა და რამდენს გაუწიეს დახმარება

### **პასუხი მე-13 რეკომენდაციაზე - ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობა**

ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას და დაკონკრეტებას ანუ არ არის მკაფიო ვისი საქმიანობაა აღწერილი ამ მიმართულებით



117-- აწარმოე საქართველოში --პროგრამის ფარგლებში რამდენმა ადამიანმა, მათ შორის ქალმა, მიიღო გრანტი

**პასუხი მე-15 რეკომენდაციაზე - აღსრულების მექანიზმი**

ინფორმაცია გადასამოწმებელია და საჭიროებს დაზუსტებას (120,121)

**პასუხი მე-17 რეკომენდაციაზე - დროებითი სპეციალური ზომები**

ინფორმაცია არ არის ზუსტი, გენდერულ კვლევებთან დაკავშირებით პროცესი პარლამენტში არ მიმდინარეობს.

126, სადაც აღნიშნული ჯგუფი მითითებულია სიის ბოლოს, და არ არის განცალკევებული მაგ. შშმ ქალები, და ეთნიკური უმცირესობები. საუბარი მიდის იმაზე რომ 2018 წელს პარლამენტი ამტკიცებს გენდერული თანასწორობის ახალ კონცეფციას, რომელიც „ითვალისწინებს“ CEDAW კომიტეტის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, მათ შორის „არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ ქალთა ჯგუფების“ შესახებ. ეს კონცეფცია საჭიროებს მონიტორინგს და სათანადო შეფასებას.

187 არ შეიცავს 2018 წლის სტატისტიკას.

188 საუბრობს ტრენინგ კურსზე მასწავლებლებისთვის „მოწყვლადი ჯგუფების ბავშვთა საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფიკაცია, მათთან კომუნიკაციის და თანამშრომლობის სტრატეგიები“. ანგარიშში ნათქვამია, რომ ტრენინგ კურსი ეხება მოწყვლად ბავშვებს, თუმცა არ არის დაკონკრეტებული რომელ ჯგუფებს. ინტერნეტში არსებული ინფორმაციით ტრენინგ კურსი არის გათვლილი მიუსაფარ და სოციალურად მაღალი რისკის ქვეშ მყოფ ბავშვებზე, მაგრამ გაუგებარია ითვალისწინებს თუ არა ტრენინგი შშმ ბავშვებს. ასევე არ არის მითითებული რამდენმა მასწავლებელმა გაიარა აღნიშნული ტრენინგი (სასურველია არსებული მასწავლებლების პროცენტის მითითება).

189. არ არის დაკონკრეტებული, რა სახის კამპანია, რა ტიპის მოწყვლადი ჯგუფები, შედის თუ არა შშმ ბავშვები და რამდენად ფარავს არსებულ სკოლებს.

192 ძალიან მნიშვნელოვანია, კანონი „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ და უწყებათაშორის კომუნიკაციის ხარისხი.

195-196 აღწერს დროებით საინფორმაციო კამპანიას, 2015-2016 წლის. არ არის მითითებული მონაწილეების კონკრეტული რიცხვი, არც ბმულები დამატებითი ინფორმაციის წყაროებზე. არ არის კამპანიის წარმატების ინდიკატორები. მაგ. ინფორმაცია რამდენად იკლო ადრეული ქორწინებების რიცხვმა ამ წლებში.

197 საუბრობს ბუნდოვან სამომავლო კამპანიაზე, რომელსაც აკლია კონკრეტიკა. თვალშისაცემია, რომ არ არის მითითებული დაპირებული ვებგვერდის ამოქმედების დრო და ბმული.

204 თანასწორობის პროგრამის აღწერის დროს სიიდან გამოტოვებულია შეზღუდული შესაძლებლობები: „გამოირიცხოს მათი დისკრიმინაცია რასის, რწმენის, სქესის (გენდერის), ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად.“

207-ში მოყვანილი დებულება არ არის დამყარებული ფაქტებით, ან სხვა ინფორმაციაზე რეფერირებით. არ არის მოყვანილი წარმატების ინდიკატორები: მაგ. რამდენი ქალი პროცენტულად არის სკოლის დირექტორი, და რამდენი ქალი გახდა სკოლის დირექტორი ბოლო წლების განმავლობაში. ასევე არ არის მითითებული გენდერული გადანაწილება მასწავლებლებში, თუ იყო ცვლილებები.

229. არის მითითებული ინფორმაცია გარკვეული საშუალებების 5 წლიანი მარაგის გადაცემის შესახებ (2015 წელს). არ არის ინფორმაცია, რამდენად და ვისზე ურიგებენ ამ საშუალებებს.

მოსწავლეთა რიცხოვნობა სასწავლო წლებისა და სქესის მიხედვით (PNO's კვლევიდან):

სასწავლო წელი	გოგონების რაოდენობა	ბიჭების რაოდენობა	სრული რაოდენობა
2011-2012	1569	2338	3907
2012-2013	1478	2350	3828
2013-2014	1374	2275	3649
2014-2015	1842	3085	4927
2015-2016	2493	4277	6770



პასუხი 27-ე რეკომენდაციაზე -განათლება, ოჯახური ცხოვრება

188--რამდენი მასწავლებელი მიიღებს მონაწილეობას ტრენინგებში და ეს იქნება თბილისის მასწავლებლებისთვის თუ რეგიონებში მცხოვრებთათვისაც?

189--რომელი საჯარო სკოლების მასწავლებლებისთვის და მშობლებისთვის, და რამდენი საინფორმაციო შეხვედრა ?

194--საუბარია სტატისტიკის წარმოებაზე,თუმცა არაა მოყვანილი ციფრები

195 -მისათითებელია ის რეგიონები, სადაც ტარდებოდა შეხვედრები

197-დასაკონკრეტებელია რომელ რეგიონებზეა საუბარი, როცა ვსაუბრობთ ვებგვერდზე,მისათითებელია სახელი და მისამართიც

198--თუ არსებობს სტატისტიკა, მიახლოებითი ციფრი მაინც, რამდენი არასრულწლოვანი გოგონა იმყოფება ქორწინებაში

ანგარიშში არ არის მოცემული ინფორმაცია 27ე რეკომენდაციის ე პუნქტის შესრულების თაობაზე. აღნიშნული პუნქტი საჭიროებს დეტალურ გაწერას სახელმწიფოს მხრიდან მიღწეული შედეგების შესახებ

205. პარაგრაფი საჭიროებს ინფორმაციის განახლებასა და დაზუსტებას, კერძოდ ბიოლოგიის III თაობის სტანდარტში საბაზო საფეხურის VIII-IX კლასების პროგრამაში შეტანილი ცვლილებების შესახებ.

ანგარიშში სასურველია ასახულ იყოს ასოციაცია ჰერა XXIის მიერ DFPA-ს მხარდაჭერით შექმნილი რესურსი: ვებ-გვერდი და მობილური აპლიკაცია მშობლებისთვის: forparents.ge ვებ გვერდი საშუალებას აძლევს მშობლებს შეიძინონ ცოდნა ჯანსაღი ცხოვრების წესის და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე და მიაწოდოთ შვილებს სანდო, სწორი და მათ ასაკზე მორგებული ინფორმაცია.

ანგარიშში სასურველია დაემატოს ინფორმაცია სკოლის ექიმებისთვის უწყვეტი განათლების ფარგლებში შექმნილი დისტანციური სასწავლო რესურსის შესახებ. ასოციაცია ჰერა XXIის მიერ ონლაინ სასწავლო პლატფორმაზე განთავსებული აკრედიტირებული კურსი „მოზარდთა რეპროდუქციული ჯანმრთელობა და კეთილდღეობა“ ავითარებს სკოლის ექიმების ცოდნას მოზარდთა ბიო-ფსიქო-სოციალური, მათ შორის რეპროდუქციული ჯანმრთელობის და კეთილდღეობის შესახებ, ასევე მოზარდთან და მის ოჯახთან ინტერაქციის ეფექტური განხორციელებისათვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების შექმნის კუთხით. 2017-2018 წლებში 40 სკოლის ექიმმა გაიარა აღნიშნული სასწავლო კურსი.

პასუხი 31-ე რეკომენდაციაზე -ჯანდაცვა,ნარკოდამოკიდებულება

225. საქართველოს მთავრობის მიერ მომზადებულ ანგარიშში არის ინფორმაცია დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის 2017- 2030 წლების ეროვნულ სტრატეგიაზე. მაგრამ არ არის ნახსენები სამოქმედო გეგმა, რომელიც არის ბიუჯეტირებული და დროში გაწერილი. აუცილებელია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული შედეგების ასახვა.

228. არ არის ნახსენები პროგრესული ცვლილებები ანტენატალური მეთვალყურეობის პროგრამის ფარგლებში გატარებული ღონისძიებების თაობაზე. კერძოდ, საქართველოს ეროვნული პროტოკოლის "ანტენატალური მეთვალყურეობა" შესაბამისად, დამტკიცებული იქნა სტანდარტული ანტენატალური მოვლის სახელმწიფო პროგრამა (2), რომელიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებულ მოდელს ეყრდნობა. პროგრამით განსაზღვრული მომსახურება მოიცავს ორსულობის განმვალობაში 8 უფასო ანტენატალურ ვიზიტს შესაბამისი კვლევებით. 2018 წლის 1 თებერვლიდან დარეგისტრირებული ორსულებისათვის, კომპონენტით იფარება 8 ანტენატალური ვიზიტი (ორსულობის მე-12 0/7 კვირამდე, მე-20 0/7, 26-ე 0/7, 30 0/7-ე, 34 0/7-ე, 36 0/7-ე, 38 0/7-ე და მე-40 0/7 კვირებზე), სასურველია დაიდოს პირველადი შედეგები, როგორ აისახა დედათა სიკვდილიანობის სტატისტიკაზე.

ანგარიშში არაფერია ნათქვამი შშმ ორსულ ქალებსა და მათ დამატებით სპეციფიკური საჭიროებები აქვთ. სახელმწიფო ვალდებულია მათ საჭიროებებზე იზრუნოს

229. 2015 წელს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური ხელშეწყობით პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებს დაურიგდა ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები, რომელთაც 2018 წლის ბოლოს გაუვიდათ ვარგისიანობის ვადა. არ არის ჩატარებული მონიტორინგი, რა შედეგი დაიდო. ასევე არ არის ასახული სახელმწიფოს ხედვა, როგორ აპირებს დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის უზრუნველყოფას. სტატისტიკური ინფორმაციის მოყვანა დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის პროცენტულ მაჩვენებლებზე და აბორტის მაჩვენებლების შემცირების ტენდენციაზე.

230: აქ სასურველია ასახული იყოს აბორტის შემთხვევების სტატისტიკა, კლებადი ტენდენცია. ასევე უსაფრთხო მეთოდებით ჩატარებული აბორტების გაზრდილი პროცენტული მაჩვენებელი

ანგარიშში არ არის ინფორმაცია 31ე რეკომენდაციის ა და ც პუნქტების შესრულების თაობაზე. მაგალითად, დედათა და ახალშობილთა 2017-2019 სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების თაობაზე, კერძოდ მოზარდთა და ახალგაზრდების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების ინტეგრირება პირველად ჯანდაცვის რგოლში.

## *კოალიცია რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებებისათვის*

ც პუნქტის შესრულების კუთხით აღსანიშნავია ასოციაცია ჰერა ოცდაერთის მუშაობა სამედიცინო პერსონალის გადამზადებისა და ახალგაზრდებისთვის სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კუთხით.

კერძოდ, შეიქმნა დისტანციური სასწავლო პლატფორმა ehera.ge, რომელიც აერთიანებს აკრედიტირებულ სასწავლო კურსებს ოჯახის ექიმებისა და პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში მომუშავე მედდებისთვის “რეპროდუქციული ჯანმრთელობის გავრცელებული პრობლემების მართვა ზოგად საექიმო პრაქტიკაში”, ექიმი გინეკოლოგებისა და შესაბამისი სერვის მიმწოდებლებისთვის “უსაფრთხო რეპროდუქციული სერვისები/უსაფრთხო აბორტი”. შედეგად 2016-2018 წლებში 217მა სამედიცინო პერსონალმა გაიარა პირისპირ და ონლაინ დისტანციური აკრედიტირებული სასწავლო პროგრამები.

229-2015 წლიდან სად და რომელ რეგიონებში, როგორი მეთოდით, რამდენი დარიგდა კონტრაცეპტივები. ასევე თუ მოხდა საინფორმაციო კამპანია ქალებისთვის, რომ მათ შეუძლიათ უფასოდ მიიღონ აღნიშნული.

### *პასუხი 33-ე რეკომენდაციაზე: სოფლად მცხოვრები ქალები*

სოფლად მცხოვრები ქალების რეპროდუქციულ ჯანმრთელობის უფლების რეალიზაციის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებზე ანგარიშში არაფერი წერია.

ანგარიშში არ არის მოცემული ინფორმაცია სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამის შესახებ.

### *პასუხი 35-ე რეკომენდაციაზე - არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი ოჯახები*

271--მისათითებელია რომელი წლის ინფორმაციაა გამოყენებული.

278--რადგან საუბარია საჭიროების შემთხვევაში დამხმარე საშუალებების გადაცემაზე, კარგი იქნებოდა სტატისტიკის მოყვანაც თუ, რამდენ ადამიანმა მიიღო სარგებელი.

281—2017 წელს, **გასული წლის მსგავსად**, პროკურატურისთვის.... სიტყვები-**გასული წლის მსგავსად**- ზედმეტია, რადგან 2016 წლის მონაცემებზე არც ამ პარაგრაფში და არც წინ, არაა საუბარი. თუმცა ამ საკიტხზე შემდეგ 282 პარაგრაფში გრძელდება საუბარი

283--საუბარია ქალთა პაემნების ახალ რეგულაციებზე, თუმცა არა მოყვანილი სტატისტიკა, თუ რამდენმა ქალმა ისარგებლა აღნიშნულით საანგარიშო ან რომელიმე წელს

284. არც აქაა მოსარგებლეთა რიცხვი მითითებული

37-ე რეკომენდაცია-ადრეული ქორწინება

294--სავარაუდო პროცენტული მაჩვენებელი მაინც რომ იყოს მოცემული, კარგი იქნებოდა

**მუხლი 7 და 8 -ჩართულობა..**

342- რამდენმა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა, მათ შორის ქალმა, ისარგებლა სტაჟირების პროგრამით

347-თუ არის სტატისტიკა, რამდენმა ქალმა ისარგებლა 1+4 პროგრამით.

350-რა რაოდენობის პირადობის მოწმობა გაიცა -სტატისტიკური მონაცემები

**სპორტის სფერო**

370-რამდენი სკოლა და რამდენი ადამიანი ჩაერთო სულ პროექტში

*სამწუხაროა, რომ ანგარიში არის დასკანერებული pdf და შესაბამისად სრულიად ხელმიუწვდომელია ჩვენი უსინათლო კოლეგებისთვის. ამასთან, ბმულებისა ან პროგრამების დასახელებების კოპირება (არსებობის შემთხვევაში) შეუძლებელია რაც უეჭველად ართულებს მითითებული ინფორმაციის გადამოწმებას.*